წელიწადი I-ლი

სამშაბათი 2 ნოემბერი

ფასი 15 მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათუმის ფურცელი

გაზეთი ღირს თვიურად . . . 300 მან.

განცხადების ფასი:

1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი . . . 20 მან.
4 „ „ „ . . . 15 მან.

სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმე.

ხელმოუწერ წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთათ.

რედაქტორის ნახვა დრ. შეიძლება მარინეს პროსპექტზეთ № 13 დილის 11 საათ. 2 საათამდის. სარედაქციო კოლეგიის მდივანის ნახვა შეიძლება შმაიფსკის სტამბაში 1 საათ. საღ. 5 ს.

№ 44 ყოველ-დღიური დემოკრატიულიორგანო № 44

ელექტრო თეატრი „ა პ ო ლ ლ ო“

ნ. დ. ბროდვალ-სხირტლაძის

სამშაბათს, 2 ნოემბერიდან იქნება ნაჩვენები ახალი სურათი

იეავ დაწეევლილი სილამაზე!

დრამა 5 ნაწ. გამოჩენილი მსახიობის მარია კარმას მონაწილეობით.

ანონსი. სამშაბათს 6 ნოემბრიდან იქნება ნაჩვენები ახალი სურათი

მეორე მხარეზე ოცნება.

ყურადღება: ამ დღეებში მასკა თეთრი კბილებით.

ღია ჰაერზე, ახალისპეციალური სახიფხურელექტრო თეატრი

„ს ტ რ ი უ ფ ი“

ნ. ბროვალ-სხირტლაძის

სურათები იჩვენება ყველა ნაირ ამინდში, სურათების ჩვენების დროს უკრავს პირველი ხარისხოვანი მუსიკა, რომელთაც ხელმძღვან. ტრიო რუდკოვსკი

შაბათიდან, 1920 წლის 30 ოქტომბრიდან იქნება ნაჩვენები ახალი სურათი

შვიდ საათზე

(კ ო ს ტ ი ა.)

გამოჩენილი მსახიობის ნ. მ. წერეთლის და ი. სტროგანოვას მონაწილეობით

დასასრულ მეტათ სასაცილო სურათი.

ცოცხალი მიცვალებული

და სანახავი სურათი.

ანონსი. 3 ნოემბრიდან ახალი საინტერესო სურათი.

ოლდას და შეპელევის ქუჩის კუთხეში ქალთა წრის გამგეობის მიერ

გაიხსნა

ლოტო.

საქველმოქმედო მიზნით

ლოტო ღია იქნება საღამოს 7—11 საათ.

სამშაბათს, 2 ნოებმერს, საღამოს 5 საათზე

ქ რთულ სკოლის ბინაზე (კომაროვის ქუჩა) დანიშნულია საქ. სოც. დემ. მ. პარტიის ბათომის ორგანიზაციის მეორე რაიონის საზოგადო კრება

დღის წესრიგი: 1) მოხსენება კოლექტივისა, 2) მოხსენებე მიმდინარე მომენტზე, (მომხსენებელი ამხ. კ. ქავთარაძე). 3). არჩევნები კომიტეტის 3 წევრისა 4) მიმდინარე საქმეები.

ᲒᲐᲛᲣᲠᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲪᲘᲠᲙᲘ.

სამშაბათს 2 ნოებერს

ᲛᲔ-e ᲗᲐᲛᲐᲠᲐᲡ

ᲒᲠᲐᲜᲓᲘᲝᲖᲜᲣᲚᲘ ᲒᲔᲜᲔᲤᲘᲡᲘ.

თამარა დღეს გაშოვა როგორც დეკლამატორი დღიურ ჭირ-ვარამზე.

ჰიდაობს 3 წყვილი.

1. ერმაკოვი—გენჟალის წინააღმდ
2. მურომეცი—წითელი ნიღაბის წინააღმდ.
3. ტომ-საერი—ემელიანოვის წინააღმდ

ᲐᲜᲝᲜᲡᲘ! ამ დღეებში გაიმართება

ᲘᲕᲐᲜᲝᲕ-ᲡᲐᲜᲓᲐᲠᲝᲕᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲤᲘᲡᲘ.

ᲒᲐᲗᲣᲛᲘ, 2 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ.

გამოვიდა გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“ რასაც ჩვენ სიხარულით შევხვდით იმდენად, რამდენ დაც ის მხარის ფაქიზ ზრახვათა და იდეუალზრდის მეროლეთ მოგვევლინებოდა.

პირველსავე მოწინავეში გაზეთი, რომელიც მეჯლისის ორგანოთ ითვლება „ოთახურ სიწვრილმანით წვდა“ საგანგებო კომისარს, და საზოგადოთ მთელი გაზეთი ყოველდღე ბენია ჩხიკვიშვილის წინააღმდეგაა მიმართული! სამაჰმადიანო ქვეყნის მოღვაწენი ჩხიკვიშვილს იღებენ მიზანში და „ყველაფერ უბედურებას“ მას აწერენ.

ცსთქვათ საგანგებო კომისარს ადგილობრივ მმართველობაში შეცდომები ჰქონდა, რასაც მთავრობა და დამფუძნებელი კრება უყურადღებოდ არ დასტოვებს, და განა ის არის მეჯლისის ორგანოს მრწამსი, რომ ასეთ სიმდაბლით იკინკლაოს ერთ სახელმწიფო მოხელეს გარშემო?

ჩვენ უფრო მაღალ წარმოდგენის ვართ სამაჰმადიანო საქართველოს მოღვაწეებზე. წმინდა საადმინისტრაციო საკითხებზე, რომელსაც მხარის განსაკუთრებულ მდგომარეობის დროს აქ მიეცა საგანგებო სახე, არ უნდა იხარჯებოდეს მათი ენერგია და შრომა.

ამა თუ იმ პირთა დანაშაულის აღმოსაფხვრელად არსებობს დამფუძნებელი კრება, მთავრობა და სასამართლო.

ირგვლივ საერთო ვითარების სირთულე და სიძნელე არ გვაძლევს ჩვენ უფლებას, თუ საშობლოს ჭეშმარიტი შვილები ვართ, ასეთ მაზრულ და რაიონულ საკითხებისთვის ცალკე ბეჭდვითი ორგანოები შევქმნათ...

საქართველოს დღევანდელი ყოფა ჩვენ გვავალებს საერთო შრჩევლების მებრძოლთა რიგში გამოსვლას.

დღეს ვისმე გაბიაბრუება საერთო ჯამში საოგებელს არ მოიტანს და იდეურად უფრო დაალარიბებს ადგილობრივ თაობას.

კრიტიკის ენა რომ ცვალაპარაკოთ ჩვენ ყველას ჭიმართ, მაშინ გვერწმუნეთ, რომ მრავალთაგან მხოლოდ მწარე მოგონება დარჩება...

ამ მომენტს ეს არ სჭირია

საუსლიმანო საქართველოს მეჯლისისგან ჩვენ მოველით მხარის სასიცოცხლო საკითხთა გაშუქება-გამოჩენას, ავტონომიის კითხვების და მის სტატუტთა წინასწარ პროექტულ გაცნობას, რაც გადადვილებდა ცენტრის საკონსტიტუციო კომისიას ამ საკითხის გადაჭრას.

მეჯლისის გაზეთიდან ჩვენ მოველით დინჯ, მეთოდიურ და აკადემიურ მუშაობას, ლამაზ გაგრძელებას ამ მხარის წარსულის სიდარბაისლისას.

მეტი სიმაღლე და აკადემიურობა, დაე ამ ორგანომ ხალხს მიაწოდოს ის ნორმალური საკვები, რაც ხალხს თვალს აუბელს, რაც ხალხში სინათლეს შეიტანს, ამ აზრით ჩვენ ვუსურვებთ ბრწყინვალე გამარჯვებას მათ...

შორს სიწვრილმანე!..

მარად გვახსოვდეს, რომ ჯგუფურ, პიროვნულ განწყობილების შეჯახებებით საქართველოს ნამდვილ მტრების საქმეს ვაკეთებთ, განსაკუთრებით ბათომში და ჩვენს ქვეყანას კი ვაქცევთ.

ᲠᲐᲓᲘᲝ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ.

(მიღებულია 1 ნოემბერს).

ფრონტზე.

ბერისლავას სიმართულებით ჩვენმა ჯარებმა კვლავ შეავიწროვეს მტერი სამხრეთით, ხელთ ვიყოდეთ 260 ტყვე.

ნიკოლაევის რაიონის ბრძოლებში ჩვენ ხელთ ჩაგვივარდა 500 ტყვე, ტყვიის-მფრქველები და სხვა სამხედრო მასალა. ნოგაისკ-ორეხოვის (გამოტოვებულია) ორი უკანასკნელი დღის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა შეავიწროვა მტერი და ხელთ იგდო 600 ტყვე, 40 ზარბაზანი, 6 ტყვიისმფრქველი, მრავალი თოფი და ტყვია-წამალი.

პოლონეთი და რუსეთი.

მოსკოვი, 30 ოქტ ბრკოლდება შემდეგი მოლაპარაკების გაგრძელება ზავზე. რუსეთის დელეგაციას იმედი აქვს, რომ პოლონეთის მთავრობა მიიღებს ზომებს ფრონტზე საზედრო მოქმედები —(ვამოტოვებულია).

ირლანდიაში.

მოსკოვი. 30 ოქტ. ქ. კორკის ლორდმერის სიმშილობის გამო სიკვდილის შემდეგ ირლანდიაში აღელვებაა. ინგლისის პარლამენტი მხარს უჭერს ინგლისის მთავრობის მკაცრ ზომებს ირლანდიაში ამბოხების ჩასაქრობათ. ირლანდიელი რესპუბლიკანელები ემზადებიან გადამჭრელ ბრძოლისათვის.

მოძრაობა იტალიაში.

მოსკოვი 30 ოქტ. იტალიის მთავრობის მიერ კრებების და მიტინგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკითხოვეთ ყველა მაღაზიებში, კიოსკებში რესტორანებში, კაფე შანტანებში და დამტარებ. ახლად გამოშვებული საუკეთესო პაპიროსები „გლორია„ ფრანგული საქციონერო საზოგადოების „ხმელთა შუა კომერციული ბანკი.“
გინიატ-ოღლის ქარხნის ფირმის პატრონისა.

ბის აკრძალვის და მუშების მასებით დატუსაღების გამო. რკინისგზელთა პროფ. კავშირი გაფიცვით იმუქრება. იტალიის მთავრობამ აკრძალა რუს მოქალაქეთა შესვლა იტალიაში

ატამანი სემიონოვი.

მოსკოვი 30 ოქ. ატამანი სემიონოვი, რომელიც ეროპლანით გაიქცა ჩიტიდან დაეშვა სად. მაკლეკოს რაიონში, სადაც დააკავეს აჯანყებულებმა, რომლებსაც სადგური დაეჭირათ.

ჩხრეკა ბანკებში.

მოსკოვი. 30 ოქტ. ინგლისის მთავრობამ, იმ საშვალებათა აღმოსაჩენათ, რომელიც ასაზრდოებს ირლანდიის მოძრაობას, ჩხრეკა მოახდინა ირლანდიის ბანკებში, დუბლინის ბანკში აღმოაჩინეს დიდი თანხები, რომლებიც დანიშნული იყო ირლანდიის რევოლიუციონურ მოძრაობისათვის.

ევროპა და რუსეთი.

მოსკოვი 30 ოქ. უკანასკნელი ცნობები ლაპარაკობენ გუჩკოვის ვრანგელის ბერლინელ წარმომადგენლად დანიშვნის შესახებ თუ გერმანიის მთავრობა დათანხმდა (გამოტოვებულია) კანონს გარეშე, რ ო გ ო რ შეეძლო მას ვერწმუნებიეთ ჩვენდამი კეთილგანწყობილებაში. ამ ბოლო დროს გერმანიის პრესაში აგიტაციას აწარმოებენ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ.

საქართველომ, რომელმაც ხელშეკრულება დადო ჩვენთან, რომლის ძალით მოვალეა არ დაუშვას თავის ტერიტორიაზე საბჭოთა რუსეთის მტრები, თავი შეაფერებია ესკადრას, რომელმაც იტალიელების გები დააკავა.

რუმინია გვარწმუნებს თავის კეთილ განწყობილებაში და იმავ დროს თავის ტერიტორიით უშვებს სამხედრო მასალას ვრანგელისათვის.

ფრანტზე.

(31 ოქტომბრის ცნობა)

შავი ზღვის ნაპირზე ჩვენ ნავთსადგური სკადოვსკი დავიკავეთ. პერეკოპის რაიონში ჩვენმა ჯარებმა გადალახეს მტრის წინააღმდეგობა და მავთულის ხლართების მთელი რიგი და ქ. პერეკოპი დაიკავეს. პერეკოპთან ბრძოლაში ჩ ყვეთ ჩავიგდეთ 50 კაცი

ბერისლავის რაიონში ჩვენი ჯარები ბრძოლას აწარმოებენ 35 ვერსტის მოშორებით სად. ბერისლავიდან მტერთან, რომელიც კონტრ იერიშებზე ცდილობს გადასვლას.

ნიკოპოლის რაიონში ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს სოფლების რიგი ნიკოპოლის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

მელიტოპოლის რაიონში ჩვენმა ჯარებმა 30 ოქტომბერს ქ მელიტოპოლი დაიკავეს მელიტოპოლიდან ჩრდილოეთით ბრძოლებშ, ჩვენ ჩაგვივარდა: 39 ოფიცერი, 300 ჯარის კაცი, 10 ტყვი ს მფრქვეველი და სხვა სამხედრო მასალა.

ანტანტა, გერმანია და რუსეთი,

მოკოვი 31 ოქტ. (დასაწყისი არ მიგვიღია) შემდეგ მათ დაინახეს, რომ ანტანტამ გააცრუა მათი იმედები და რამდენიმე ხნის შემდეგ დაიწყეს რუსეთთან თამაში, გერმანიის საქმის კაცები, რასაკვირველის გრძნობენ, რომ რუსეთთან კავშირი მისცეს მათ ეკონომიური აღორძინებას, ანტანტასთან თანამშრომლობა კი დამონებებას ანტანტის ბირჟის მიერ. გერმანულ წრეების ორიენტაცია ანტანტაზე. გამოწვეულია ჩვენის ფიქრით, იმ შემსუბუქებით, რომელიც გერმანიამ მიიღო.

ყირიმის შესახებ.

მოსკოვი 31 ოქტ. „პრავდა“ სწერს, რომ ყირიმის ფინანსიურ-ეკონომიურ თათბირზე სევასტოპოლში მიღებულია ხუთი ერთი მნიშვნელოვანი დადგენილებანი: 1) ნება მიეცეს კერძო ბანკს ფულის ნიშნები გამოსცეს, 2) ყირიმიდან საქონელის გატანის აკრძალვა მხოლოდ უცხოეთის ფირმებს აქვს. ამ ყრილობაზე გაიმარჯვა მემარჯნე ფრთამ მეფის ყოფილი ფინანსთა მინისტრის ბარკის ხელმძღვანელობით.

მიღებულია ახალი ცნობა, რომ ვრანგელის მინისტრმა სტრუვემ საფრანგეთიდან მოიტანა ახალი ფულები ვრანგელის რუსეთისათვის, ე. წ. ფრანკები. ეს იძლევა ფინანსიურ-ეკონომიურის მდგომარეობის ბრწყინვალე სურათს, მთელი ფინანსები გადაეცა (დამახინჯებულია).

ბ ა თ ო მ ი.

სატრფო ერისა, იმედი ქართულ სახელმწიფოსა და მკლავში ძალის მიმცემი—არსენალი ქართველ დემოკრატიისაა ეი, რა არის ბათომი.

ბათომის ოლქი იდეურ ხალხის, სამშობლოს ერთგულ შვილთა საუფლო მხა ეა.

ჩვეულებრივი „მოვალეობა“ აქ მიუღებელია

ბათუმის ოლქი, სამაჰმადიანო პროვინცია რესპუბლიკისა განსაკუთრებულ ყურადღების საგანი იყო ახლო წარსულში საქართველოში და ასეთივე იქნება მომავალშიც. საქართველოს მთავრობამ სანდო და ვაქიზი კაცები უნდა წარმოგზავნოს მ მხარის მართვა გამგეობის საქმისთვის.

საქართველოს მთავრობამ საგანგებოდ უნდა შეადგინოს სია ბათომის ოლქის სახელმწიფურ მოხელეებისა.

მთავრობა დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ აქ გამოშვებული მოხელე იქნება ფხიზელი, სულით მაღალი და თავის უცოდინარობით არ წაახდენს საქმეს.

ვერავინ იტყვის ეს ასე არ არის, მთავრობას სწადდა აქ რჩეულ მოხელეთა გამოგზავნა, მაგრამ ვინ უნდა მოგვცეს ჩვენ ეს რჩეული მოხელეები? ასეთები დღეს რესპუბლიკის ტერიტორიაზე არ არიან!.

ყველა მოხელე ჩვენ ძველმა რეჟიმმა გადმოგვცა, ე. ი. ისეთი მოხელე, რომელსაც საქმის რაიმე ესმის.

ახლების მომზადება—აღზრდა აწ უნდა მოხდეს.

ჩვენ იძულებული ვიყავით იმ „ცუდით ვვესარგებლნა“ რითაც საწყუხაროდ ვიყავით მდიდარი.

სიერთოდ იდეალური კაცები ბუნებამ არ იცის, თეორიაში ჩვენ ვაქანდაკებთ წმინდა კაცებს, როცა სხვისი მოქმედება არ მოგვწონს მაშინ ჩვენ განზე გამდგარი ვიძახით: „ისინი ქვეყანას ღუპავენ ერთი ჩვენთვის ეკითხათ, ქვეყნის ასაშენებელ რეცეპტს მივცემდითო!!.

ასე ამბობს ყველა ქვეყნის ზერელე, მტერი და ორგული. სურვილი ერთია, სურვილის მილწევა მეორე.

მთავრობას რა უნდა მოვთხოვოთ ამ ოლქისთვის?

კარ ი მოხე ეები?

კაი მოხელეების გამომწესებაზე მთავრობა წინააღმდეგი ვერასოდეს იქნება. მთავრობას სამართვა გამგებლო აპარატის ვარგისიანობაზე თუ უვარგისობაზე უნდა ველაპარაკოთ ჩვენ, რომლის გამოსწორება შეუწყვეტლივ ხდება სახელმწიფოს ცხოვრებაში.

სხვაფრივ ჩვენი ვალია ცხოვრების დარაჯათ ყოფნა, ქვეყნის აღორძინებისთვის და ბედნიერებისთვის ზრუნვა-ფიქრი.

ჩვენ უნდა ვიდგეთ საღ დემოკრატიულ პლათფორმაზე და პროგრესისკენ მოვიყვადეთ ხალხი.

თუ გული შეგვტკივა ქვეყნისადმი, ჩვენ უნდა ვაფხიზლებდეთ ხალხს, ვათვითცნობიერებდეთ მა, სადა აზრებს ვაძლევდეთ საზრდოთ და არ ვქმნიდეთ ისეთ უფსკრულებს, რომელშიც ჩავარდნილი ზევით ვერ ამოვლენ თვით მეთაურები ასეთ მიმართულებისა.

ხალხს არ ესაჭიროება პოლიტიკა და პრობლემები, ან რა ნიადაგი უნდა ქონდეს ბათომის ოლქში ასეთ თუ ისეთ პრობლემებს და პოლიტიკას.

ვის სჭ-რია ეს პოლიტიკა? რა ლოზუნგებით სცდილობენ მის პოპულიარობას?

რაც არ უნდა სთქვან და ვინც არ უნდა დაიმოწმონ, ის უსულო ქვებისათვისაც კი ცხადია, რომ ბათომის ოლქი საქართველოს ისეთივე ნაწილია, როგორც ქუთაისის გუბერნ ა ან გორის მაზრა. აქაური მცხოვრებნი სარწმუნოებით არიან მაჰმადიანები, ხოლო ეროვნებით ქართველები... სარწმუნოების სფეროში ისეთი თავისუფ. ქვეყანა იშვიათია როგორცსაქართ. სარწმუნოებაზე ჩვენ მამა-პაპებსაც კი ეძნელებათ პოლიტიკის აგება, როცა სოლომონ ლეონიძე პატარა კახს ირაკლის ეუბნებოდა, „სახელმწიფოსა რჯულს ერთობას არა რას არგებას ოდეს თვისება“ ქართველი მაჰმადიანთა სარწმუნოება ის რიგად ვერსად განვითარდება და წავა წინ სიფაქიზით როგორც საქართველოს კალთებ ქვეშ.

თვით ბენია ჩხიკვიშვილს, რომელიც აქ აითვალისწუნეს მოპოლიტიკოსე ჯგუფებმა და ამ მხრივ ცენტრშიც შეიყვანეს ზოგიერთა წრეები შეცდომაში: ახლად ქონდა უახლოეს მომავალში ხალხისთვის უწმინდეს მამის შეიხ-ულ-ისლამის არჩევნები მოეწყო, რომელიც იცხოვრებდა ბათომში.

მაგრამ ა ის ხალხი, რომელიც ულოლიკოდ სხვას უსაყვედურებს პატარა კაცობიდან დიდ კაცად გახდაო მას, ხოლო თვითონ კი მხოლოდ ამ დიდ კაცობას ეძიებს, მაგრამ ამაზე სხვათა შორის.

ჩვენ გულ ახდილად და ყველას გასაგონრად ვაცხადებთ, რომ ბათომსა და მის ოლქში საპოლიტიკო საჩხირკედელაო არაფერია.

გარეშე მტერს ღიმილი მოუვა, როცა გაეცნობა ამ პოლიტიკოსთა და მაძიებელთა მსოფლ მხედველობას. რომელიც ერთი სახელმწიფო მოხელის გაბიაბრუებას ვერ სცილდება.

ჩვენ ვავალებთ ცენტრს და ვთხოვთ დამფუძნებელ კრებას, რომ აქ რჩეული და კეთილ სინდისიერი კაცები იქმნას წარმოგზავნილი მართველობაში.

ჩვენ აუცილებლობად მიგვაჩნია დაჩქარდეს ბათომის ოლქის ავტონომიის საკითხის გადაჭრა, რომ ამით თავიდან ავიცილოთ შემოხვევითი ხალხის ავანტიურული საქმიანობა.

საქართველოსთვის ბათომი სხეულის ხერხემალია. მშრომელი საქართველო ბათომის ოლქის ბედნიერებისთვის არავითარ მსხვერპლს არ დაერიდება, მაგრამ ესეც მშრომელი საქართველო ავანტიურისტების წინააღმდეგ სასტიკ ღონისძიებათ მიმართავს.

ჩვენთვის დადგა დრო, რ ა უნდა გაიჯნონ ის ძვირფასი სახვები ქუჩის ხალხისაგან, რომლებსაც ახლო წარსულში წამების გვირგვინი ამშვენებდათ ბათომის ოლქისთვის, რომლებიც ბათომის ოლქის მკვიდრი არიან და დღეს ზერელე ხალხის ჩაჩჩინებით ვერ დაუშნოებენ თავის სიცოცხლეს.

ი. დიდიძე.

საგერძნეთი.

ძველი საყვარელი ქვეყანაა საბერძნეთი.

ელინთა კულტურა კაცობრიობის სიამაყე. ქართველი ხალხის ძლიერების. ხანაში ელინთა კულტურა ჩვენც მოგვეცხო.

ტაო-კლარჯეთით იმ, დრ ს აყვავებულ მხარედან, ჩვენსკენ ოდიოდა ბიზანტიის სინათლე.

ეამთა უკულმა ცვალებადობამ ველურების წინაშე დაანარცხა ლამაზი ბიზანტია. ამ უხეშმა ძალამ ნაციონ ის ბილი გაჭრა აგრეთვე საქართველოს, ჩამოჭლეჯა მას განათლებული კუთხე ტაო-კლარჯეთი და შეედგა მის წამებას გასამაჰმადიანებლად და გასართუქებლად, ეს კუთხეა დღევანდელი ს მუსლიმანო საქართველო, ბათომის ოლქი, რომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის მცოხვრებლებმაც ენა თავისი და სახე მშობლიური მათდა სასახელოდ არ დაჰკარგეს.

საბერძნეთი განახლებული, აღდგენილი დღეს კაცობრიობის წინაშე სდგას, საქართველო მკვდრეთით აღმსდგარი და დემოკრატიულად ამაღლებული დღეს მსოფლიოს ანგარიშშია. ახალ საბერძნეთს ჯერ-ჯერობით შეთაურობს ცნობილი მოღვაწე დიდი ვენიზელოსი, მის გვერდით საბერძნეთის ხალხი ასპარეზზე უშვებს ნორჩ დემოკრატიას.

ეს დემოკრატია განსაკუთრებით სიცოცხლით მუშაობს ჩვენს, ახლოს შავი ზღვის სანაპიროებზე. ჩვენ სიგულწრფელით ვესალმებით დემოკრატიულ ახალ საბერძნეთს. დაე მოკლებულ იყოს იგი იმპერიალისტურ სულისკვეთებათ და მის გზას ანათებდეს ხალხისნური სანთელი.

ამ დღეებში საბერძნეთში გადაიცვალა საბერძნეთის მეფე ალექსანდრე. მეფე უარყოფითი მცნებაა ჩვენთვის, მაგრამ ეს მეფე არ ჰკავდა ჩვეულებრივ მომაკვდავ მეფეებს. იგი იყო ხალხის მესაიდუმლე, პატიოსანი მოქალაქე და ქვეყნის ინტერესებით უძგერდა გული. მან დიდი დასდო ღვაწლი ელინთა ხალხის თავისუფალ საყოფელად და ამ მხრით თბილ გრძნობით მოიხსენიებს მას საბერძნეთის ერი. ჩვენც მიუსამძიმრებთ ახალ საბერძნეთს ასეთ შვილის დაკარგვის გამო.

ირაკლი.

გამოქცეულ ბერძენთა ხვედრი.

„მესსიის აღმსარებელთ იეჰოვა“ განურისხდა, და განიბნენ ძენი ისრაელისანი პირსა ზედა ქვეყანისაო“, მგონია ასე წამიკითხავს სამღვთო ისტორიაში. თითქოს ეს იეჰოვას რისხვა განმეორებულა ბერძენთა თავზე, თითქო განგებას დაუდგენია, რომ ამ ხალხის გადმოხიზნილმა შვილებმა მოსვენება ვერ ნახონ ქვეყანაზე! მაგრამ რა შუაშია აქ განგება. როცა ადამიანის სიბოროტეს დასასრული არ უჩანს. საეკუნოებით ისლამის უღელქვეშ მკვნესარე ბერძნის ერი წვრილ წვრილი ჯგუფების სახით მოდიოდა კავკასიისკენ, რომ თავი გადაერჩინა მცირე აზიაში მოკალათებულ ჯალათებს მახვილისგან და აქ ესახლებოდა ყარსის ოლქში თუ შავი ზღვის განაპირას, შით საქართველოს შუა გულშიაც. გაიჩინეს აქ ქოხები, გაიჩაღეს ეკონომია, შეიდგენ ხვნა-თესვას თუ სხვა ხელობას, მაგრამ მსოფლიო სისხლის ღვრამ ამათაც ახვედრა თავისი საშინელებანი. ბერძენთა ახალშენებს შეესივნენ ყარსის მხარეზე და შავი ზღვის ნაპირზე მტაცებელნი და ისევ აიყარა ეს უბედური ხალხი თავის საბუდარიდან.

საით? საბერძნეთისკენ, მამა-პაპათა ნამოსახლარ ადგილებისკენ. ვაი, ასეთს დაძვრას, ვაი ასეთს მგზავრობას! გზაში წყდება, ილუპება ბერძნობა, ილუპება საშინელი სისწრაფით სიმშილისა და ავათმყოფობისაგან. რა გულქვა უნდა იყოს ადამიანი, რომ ბათომის ლტოლვილი ბერძენი ნახოს და ცრემლი არ გადმოყაროს, ადამიანის გაჩენის დღე და საათი არ დასწყევლოს! ხიკვდილის ცელი გამალებით მუშაობს ამ უბედურთა შორის. მამა შვილებს მარხავს. თითონ კი უცდის თუ როდის გაჰყვება შვილებს უკან. სადღაც, მგონია, ზოლას რომანებში წამიკითხავს პარიზის ღარიბ-ღატაკთა ცხოვრების საშინელებანი: ისინი სანაგვე ადგილებს ქექავენ, იქ ეძებენ „საზრდოს“ და „პოულობენ“ კიდეც! მაგრამ სულ მალე იმათ ალპებათ ღრძილები, სცვივათ კბილები, ჩამოხმებიან და ასე ლევენ გამწარებულ სულს. მაშინ მე ვწყევლიდი საფრანგეთის რესპუბლიკას, სადაც ესეთი ამბავი თურმე შესაძლო ყოფილა.

და რა უნდა მეგრძნო მე, როცა ამ ორი დღის წინეთ ლტოლვილთა ერთ-ერთ „ბინის“ ახლო ვნახე: ვიღაცას კვეოცხის ნაჭუჭები გადაეყარა ქუჩაში. უბედური მშიერი ქექავდა ამ ძუძგს! აი შეამჩნია რომ ერი ნაჭუჭს პატარა გარსი შერჩენია, ფრთხილად ამოიღო, შეინახა! აი მეორე, კიდევ რაღაც ნაფცქვენი არის და ასე იღებს ნაგავიდან ყველაფერს, რასაც კი შეამჩნევს რომ პირში ჩასაგდებად გამოადგება!

თვალი მოვარიდე საშინელ სურათს და ბავშვობისას წანაკითხი ამბავი თვალწინ ცოცხლად წარმომიდგა. აბა ამათი „ბინები“, აბა ამათი „ტანთსაცმელი“. როდის მოელება ბოლო ამათ ტანჯვას? მაგრამ ბოლოს მოღებას ვინ ითხოვს! რაიმე შეღავათი, რაიმე შემსუბუქება ამათი მწარე ხვედრისა იქნება რიდისმე თუ არა? დავიჯეროთ რომ მარტო ბათომს მიუგდეს ეს უბედურები და სხვა აღარავინ არის გამკითხავი?

წყდება ლტოლვილი ერძნები... სად არის „მცირე ძმათა“ განკითხვა? რა იქნენ „უფროსი ძმები?“

ამ „ბინებს“ სულ რაღაც ასიოდე ნაბიჯი დაშორდი თვალში შემეჩხირა დიდი ასოებით მეორე სართულზე ქვა-კირით ამოსხმული წარწერა: „**лечебница общества покровительства животных**“. არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ასეთი საზოგადოებანი მუშაობდენ, პირუტყის მფარველობდენ! ახლა ადამიანის მფარველიც აღარავინ არის!

ვ. ხე—ლი.

ქრონიკა.

როგორც გავიგეთ საგანგებო კომისარის საქმის მწარმოებელი შ. ბეჟუაშვილი გადაყვანილი იქნება ქუთაისის უფროსათ.

30 ოქ. ბირჟაში გამოცხადდა 38 უმუშევარი, კიდევ ჩაეწერა 3 უმუშევარი.

გუშინ შეპელიოვის ქ. № 56 აღმოუჩენიათ ერთი შავი ჭირით ავათმყოფი. ავათმყოფი ბარაკში წაუყვანიათ.

ქალაქის საავათმყოფოში იმყოფება 106 ავათმყოფი, ამათში: მამაკაცი 96 და დედაკაცი 10 ყვავილითავათ არის-9, დიდი ხველით—1 შებრუნებული ტიფით—1 საოფლე ტიფით—5 საავათმყოფოში თავისუფალი ალა ეა 14.

სისხლის სამართლის მილიციის მიერ შეპყრობილ იქნა პროფესიონალური ქურდები: ოვანეს ტერ-გრიკოროვი, ალექსანდრე კრახმალნიკოვი და გასან ალი ოღლი, რომელნიც წარედგინა მილიციის უფროს ადმინისტრატიულათ დასასჯელათ და შემდეგ ბათომის ოლქიდან გადასასახლებლათ.

სისხლის სამართლის მილიციის მიერ შეპყრობილ იქმნა საეჭვო პიროვნება, რომელიც ცხოვრობდა კონსტანტინე ჩილინგაროვის სახელით. გაჩხრეკისა და გამოძიების შემდეგ ის აღმოჩნდა ვარშავის მცხოვრები ბორის ალექსანდრეს ძე შულგინი.

სისხლის სამართლის მილიციის აგენტმა ტოროტაძემ შეიპყრო ქურდები: ალი ისმაილ ოღლი და მიკირტიჩ ნაზაროვი რომლებმაც მოიპარეს დეიდეჩიანის სავაჭროდან ერთი თოფი მიტკალი. სისხლის სამართლის მილიციის უფროსის თანაშემწე ნოგაძემ ქურდები გამოტეხა მოპარვაში. ნაქურდალი ნივთები იპოვეს, დამნაშავეები პასუხის გებაში იქნება მიცემული

სისხლის სამართლის მილიციის უფროსის თანაშემწე ლოლუამ შეიპყრო ვერა გორდეევაძე, რომელმაც ქეთევან ჩხიკვაძეს მოპარა ნივთები ღირებული 290000 მანეთად. დამნაშავე დაკავებულია.

სპ. კედიას ლექცია, ოქტომბრის 21 დამფუძნებელი კრების წევრმა ბ-ნ სპ. კედიამ საკრებულო დარბაზში წაიკითხა ლექცია სამუსლიმანო საქართველოზე. ლექციას უმეტეს წილად ქართველი მაჰმადიანობა დაესწრო. საერთოდ ლექცია ლამაზად და გრძნობიერად იყო წაკითხული, და საზოგადოებაზე კარგი მთაბეჭდილება დასტოვა.

გენ. მდივანმა ბერძნულ მისიას მიუსამძიმრა მეფე ალექსანდრეს გარდაცვალების გამო.

დღეს გენერალი მდივანი თბილისს აპირებს წასვლას სამსახურის საქმეთა გამო.

გენერალმა მდივანმა ბრძანება გასცა, რათა ოლქში ფოსტის დროზე გადაზიდვა, ყველა უწყებებმა ხელი შეუწყონ.

უკანასკნელ დღეებში სომხეთს ფრონტის სასარგებლოდ ადგილობრივ სომხის ახალშენის მერ ჰოწყობილ იქმნა „ჰაკა ჩი“.

შაბათს ოქტომბრის 30-ს ხალამოთი მესამე პოლკის მუსიკოსთა გუნდის უფროსს გერმანელს ოტო კასილს შეიარაღებული უცნობები დაეცენ თავს, წაართვეს ვულად 5,000 მან. და რევოლვერი, სკამეს და ტანსაცმელის გახდა დაუწყეს, როცა მესამე პოლკის სალდათები წამოესწრენ, რის გამოც თავდამცემნი გაიქცენ. ეს ამბავი მოხდა ე. წ. „გოროდოკისკენ, იქ სადაც ბერძნის გამოქცეულები სდგანან“.

მთავრობის მოისმინა ქალაქ ბათომზე სანიტარული გადასახადის გავრცელების შესახებ მოხსენება დადგინა: 1 გავრცელდეს ბათომზე დამფუძნებელ კრების ივლისის 18 დადგენილება. ამ დადგენილების ძალით ქალაქის თვითმართველობას უფლება ენიჭება განსაზღვროს სანიტარული გადასახადის რაოდენობა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით. 2. დაევალოს ჯანმრთელობის დეპარტამენტს, რომ სანიტარულ გადასახადის სახით მოკრებილი თანხა ბოხმარდეს თავის დანიშნულებას.

მიწის ძვრა თბილისში: ოქტ. 29 ღამით მოხდა ძლიერი მიწის ძვრა, რომელიც 4 წამს გაგრძელდა მიწის ძვრამ ზარალი მოიტანა თუ არა გამორკვეული არ არის. შინ. საქმეთა სამინისტრო შეეკითხა გორს და მისდამი რწმ. დაწესებულებებს მიწის ძვრის შესახებ. დეპ. საავ. შეკითხვაზე უპასუხა, რომ მიწის ძვრისაგან დაზარალების შემთხვევები ჯერ შენიშნული არ არისო. სამთო საბმართველოც შეეკითხა გორის სეისმოგრაფიულ სადგურს მიწის ძვრის შესახებ, მაგრამ პასუხი ჯერ არ მოსულა.

სომხეთის გენერალურმა კონსულმა ათაბეგიანმა ბერძნულს მისიას მოუსამძიმრა მეფე ალექსანდრეს გარდაცვალების გამო.

ბერძნულ ეროვნულ საბჭოს წევრი კ. პოპონდოპულო გენ. მდივანს აცნობებს, რომ ძველმა საბანაო კომისიამ ი. დიდიძის თავმჯდომარეობით უკანონოთ ჩამოართვა მაღაზია „თინაში მივლინებაში“. მყოფ ბერძნულ ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს იონიდის.

ირაკლი დიდიძემ შუაძდგომლობა აღძრა საგანგებო კომისრის ვენ. მდივნის წინაშე რათა ნება დართოს გამოსცეს მან გამოსცეს ბათომში პოლიტიკური თვიური ალმანახი „ახალი საქართველო.“

ცნობები ართვინიდან.

საგანგებო კომისარს გენერალ მდივანს ართვინიდან ტელეფონოგრამით ატყობინებენ, რომ ხალხი დიდათ საჭიროებს სიმინდს სურსათის ნაკლებობის გამო, აგრეთვე უკიდურეს გაჭირვებას განიცდიან სახელმწიფო მოამსახურენი, ითხოვენ რა სურსათის გაგზავნას, აგრედვე ითხოვენ კრედიტის საჩქაროდ გახსნას მოსამსახურეთა ჯამაგირების მისაცემად.

— ართვინისკენ ძალზე აციდა.

— ხშირ წვიმების გამო მდინარე ჭოროხი დრო გამოშვებით ძალზე ადიდებული არის.

— ქალაქს ნავთის სიმცირე დაეტყო.

— შეტად ძვირად აფასებენ შეშას.

ჩრდილო-კავკასიაში.

სამოქალაქო ომი დაღესტანში.

აჯანყება დაღესტანში მოედო გუნიბის, ავარის და ანდიის რაიონებს. დაღესტანში გაიმართა ფრიენტი, რომელიც სოფ. ჩოხიდან იწყება. ხუნზახს და გუნიბს აჯანყებულებმა ალყა შემოარტყეს. ბოტლიხში აჯანყებულებმა ტყვეობაში ჩაიგდეს 200 რუსი წითელარმიელი. ანდიის რევკომის თავმჯდომარე მუსსა კუნდუხოვი ხუნზახში გაიქცა.

15 ოქტომბერს სოფ. ჩოხთან ბრძოლა გაიმართა, სოფელი აჯანყებულთა რაზმა დაიკავა, სოფელზე კი შეტევას აწარმოებდენ ჩოხელი, კაზი-კუმუხელი და დარგის ბოლშევიკები. სოფ. ჩოხის მცხოვრებლებმა განაცხადეს. რომ ისინი ნეიტრალიტეტს იცავენ. სროლა სამი საათი გაგრძელდა, სოფელმა თეთრი დროშა გადმოკიდა და დელეგაცია გაუგზავნეს ბოლშევიკებს აჯანყებულებმა სოფელი დასტოვეს.

ბრძოლა კეგერის მთაზე

16 ოქტომბერს კეგერის მთაზე მკაცრი ბრძოლა სწარმოებდა. მთა ეჭირა აჯანყებულებს, რომლებზედაც შეტევას სწარმოებდა რუს წითელ არმიელებს რაზმი, რომელიც ცდილობდა მთა დაეჭირა და ზურგში მოქცეოდა აჯანყებულებს, რომლებმაც გუნიბს ალყა შემოარტყეს.

ტეროორი ოერგის ოლქში.

დაღესტანში და ჩეჩნეთში დაწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყებულ მოძრაობის გამო. ბოლშევიკებმა ტერორი გააძლიერეს თერგის ოლქში. კავკავის რევტრიბუნალის დადგენილებით დახვრიტეს მთიელები ასლან გირეი და ბატირ კარაჯაევი, ზაბელი და ბატი თაიმაზოვი.

ჩეჩნეთი.

ჩეჩნეთი ამ ჟამად განსაკუთრებული ცხოვრებით ცხოვრობს: საბჭოთა მთავრობას ძალა აქვს მხოლოდ გროზნოში და გუდერმესში ჩეჩნეთი ფაქტიურად არავითარ მთავრობას არ ცნობს. ამ რამდენიმე ხნის წინათ სოფ. ათაგში მოვიდა წითელ არმიელთა რაზმი, რომელსაც უნდოდა დაეტუსაღებია აჯანყებულთა ხელმძღვანელი ვახა კადიევი. წითელ არმიელები ხოფლელებმა განდევნეს, კადიევმა კი შეაგროვა რამდენიმე ასეული აჯანყებული და ბოლშევიკების შევიწროებას განაგრძობს.

სხვა და სხვა ამბები.

ჩეხოსლოვაკიაში.

ჩეხოსლოვაკიაში დაატუსაღეს 118 უცხოელი, რომელთაც ჩეხოსლოვაკიის მთავრობის წინააღმდეგ მოქმედება ბრალდებათ.

„Frankfurter Zeitung"-ი საბჭოთა რუსეთის შესახებ.

„საბჭოთა რუსეთის მდგომარეობა მეტად სერიოზულია. შეძლება უფრო მეტი ვთქვათ: კრიზისი, რომელსაც ამ ჟამად მოსკოვი განიცდის, ყველაზე უფრო ძნელია, ვიდრე ის კრიზისები, რომელსაც დღემდე განიცდიდა. დღეს ეს არის სიცოცხლის თუ სიკვდილის საკითხი".

ყირიმის შიკრიკი.

ერევანი, 15 ოქტ. გაზეთი „არაჩ", იტყობინება, რომ 7 ოქტომბერს სომხეთის პრემიერ მინისტრს ოგანჯანიანს ესტუმრა პოლკოვნიკი ზინკევიჩი, ყირიმის დიპლომატიური წარმომადგენელი რომელიც ამ დღეებში ისევ გაბრუნდება უკან.

პლებისციტი კარინთიაში.

ბერლინი, 20 ოქტ. კარინთიას სამხრეთ ზონაში პლებისციტი დათავდა. ავსტრიასთან შეერთების მომხრეებმა მიიღეს 60 პროც. ხმა მთელი მცხოვრებლების.

უცხოეთი.

ლატვია.

ბოლშევიკები განაგრძობენ ენერგიულ აგიტაციას განაპირა სახელმწიფოებში, ისინი კარგად გრძნობენ, რომ ამ გზით უფრო ადვილია რუსეთისათვის დაკარგულ ოლქების შემოერთება.

აი რას იუწყება „ჰოსლ. ნოვ." რიგელი კორესპონდენტი;

სამხედრო კონტრ-რაზვედკამ, რომელმაც რამდენიმე თვის წინეთ აღმოაჩინა ერთი დიდი კომუნისტური ორგანიზაცია. ამ დღეებში დაარბია ერთი უძლიერესი ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომელიც რუსეთიდან გამოგზავნილი თანხებით არსებობდა.

ორგანიზაციის ზოგიერთ წევრებს გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდათ ინსტრუქცია, რომლიდან სჩანს თუ რა უახლოეს მიზნებს ისახავდენ ისინი:

1) მჭიდრო კავშირის დაჭერა გერმანიის და ლიტვის კომუნისტებთან

2) ლატვიის პროლეტარიატის მოშზადება ლატვიის ბურჟუაზიულ მთავრობის დასამხობათ.

3) პროფესიულ მოძრაობის ხელმძღვანელობა და

4) ლატვიის სამხედრო მდგომარეობისათვის თვალყურის დევნება.

მთელ ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა მეთუთხმეტე ბოლშევიკური არმიის კონტრ რაზვედკის უფროსი ვინმე ტუკრი, რომელმაც თავის მიზნების უკეთესად განხორციელებისათვის მოაწყო აგენტთა მთელი შტატი, რომელთაგან ერთი მუშობდა ლატვიის საარტილერიო რეზერვში, მეორე მთავარ-სარდლის შტაბში, მესამე რადიო-სადგურში, მეოთხეს კავშირი ქონდა ლიბავის კომუნისტებთან. ყველაზე მეტ ცნობებს აგროვებდენ საარტილერიო რეზერვში და მთავარ-სარდლის შტაბში მყოფი აგენტები. ტუკრს განზრახვა ქონდა თავისი სპეციალური აპარატის შეერთება რადიო-სადგურთან, საავიაციო პარკის აფეთქება და ლატვიელ მენშევიკების ლიდერის მენდერის მოკვლა, განსაკუთრებულ ამოცანას შეადგენდა ზურგის დეზორგანიზაცია, პარტიზანული რაზმების შექმნით და სხვა.

ტუკრის დატუსაღების შემდეგ, რიგაში დაატუსაღეს მთელი ორგანიზაცია, რომელშიც ორას კაცამდე შედიოდა დატუსაღებულია შორის იყო ბოლშევიკური „წითელი ჯვარი," რომელიც ფულებს უნაწილებდა და ეხმარებოდა დატუსაღებულ კომუნისტებს. ამავე დროს აღმოაჩინეს საბუხგალტერო წიგნები, რომლიდანაც გამოირკვა, რომ ლატვიის კომუნისტური ორგანიზაცია მოსკოვიდან ყოველ თვიურად 500.000 მანეთს იღებდა, ცალკე განყოფილებათა გამგეებს თვიურად 10,000 მანეთი ეძლეოდათ, კომუნისტური ლიტერატურის გამვრცელებელთ 4-5 ათასი, საიდუმლო სამხედრო ცნობების მიმწოდებელთ 7-8 ათასი მანეთი. დატუსაღებულთ ამოაჩნდათ ცნობები არმიის შემადგენლობის, მისი მოწყობის შესახებ და სხვ.

გერმანია.

„Die Rote Fahne" „Freieit-"ი.

გაზ. „ჰოსლ. ნოვ." ბერლინელი კორესპონდენტი ნ. ნიკოლაევი შემდეგ სენსაციურ ცნობას იძლევა გაზეთის № 149:

„მოსკოვიდან მემარცხენე დამოუკიდებლების ფრთამ ბრძანება მიიღო გადადებულ იქნას პარტიული ყრილობა, რომელიც ქ. ბალეში უნდა მოხდეს 15 ოქტომბერს.*) მოტივები, მოსკოვის ჩვეულები ამებრ არავითარი: გადადევით და მორჩა.

ვინც ზოგიერთი კულისების იქითა მახინაციები იცის, მიხვდება, რომ კონგრესის გადადება საჭიროა უმთავრესად იმიტომ, რომ „ელემენტები" საკმაოთ მომზადებული არ არიან. დღემდე მოძხდარმა წინასწარმა ხმის მიცემამ გამოარკვია, რომ კომუნიზმის გაძარჯვება უზრუნველყოფილი იქნება, თუ კაპიტალთან ბრძოლაში ჩაებმება კიდევ ერთი-ორი ათეული ათასი დამოუკიდებელი, მცირეოდენი კაპიტალის ზოგიერთების ჯიბეებში განაწილებით. ყველაზე სამწუხარო ამ სასაცილოში ის არის, რომ ეს სიმართლეა და რომ ამაში იქვე არავის შეეპაროს, ეს გამოამზეურა თვით ადგილობრივ კომუნიზმის ლეიბ-ორგანომ-„წითელმა დროშამ." „Die Rote Fahne"-მ.

ეს სკანდალი ამნაირათ მოხდა: დამოუკიდებელთა ორგანომ „Freiheit-მა" ბრალი დასდო კომუნისტების ორგანოს „Die Rofe Fahne-ს" ფულის მიღებაში მოსკოვიდან, ამაზე „Die Bole Fahne-მ" ურჩია „Freiheit-ს" ეანგარიშა მარკები, რომელიც იმავე მოსკოვის ზანდუკი, დან მიიღო მან. მაგრამ „Freiheit-მა" არა თუ შეასრულა კეთილი რჩევა, პასუხიც კი არ გასცა".

მარტოვი დამოუკიდებლობის კონგრესზე.

„ობშჩეე დელო" იუწყება: მის შემდეგ, როცა გერფერდინგმა ლიოსეული პასუხი გასცა ზინოვიევს, მარტოვმა განაცხადა: მოსკოვის თანამედროვე ტაქტიკა ისწრაფვის არა საშიშრათ გახადონ ის პარტიები, რომლებიც ხელს უშლიან მათ ბატონობის გზაზე. ამ რამდენიმე ხნის წინათ 58 მენშევიკის დატუსაღება გამოწვეულია იმით, რომ სურდათ ხელი შეეშალათ დამოუკიდებლების მოსკოვის 21 მუხლოვან პირობებზე პასუხის გავრცელებისთვის.

მარტოვმა შემდეგ მიუთითა საბჭოთა მთავრობის იმპერიალისტურ პოლიტიკაზე პოლონეთის მიმართ და ტერორზე,

ბოლშევიკების დელეგატმა ლოზოვსკის მარტოვის სიტყვით გამოწვეულ შთაბეჭდილების შესანელებლად წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც ხოტბა-ქებას ასხამდა ბოლშევიკურ რეჟიმს, მაგრამ გამოიწვია მთელი კონგრესის პროტესტი, როცა გერმანიის სინდიკატებს „ყვითელი" უწოდა.

ლონგეს სიტყვა დამოუკ. კონგრესზე.

დამოუკიდებელთა კონგრესის 15 ოქტომბრის სხდომაზე: ფრანგმა დეპუტატმა ლონგემ სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიც სხვათა შორის თქვა:

„მე მოგესალმებით თქვენ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის სახელით. რაც ამ ნაგებთან ერთად ჩვენ გვსურს შეეერთდეთ ერთ ინტერნაციონალში. მაგრამ მათი (რუსი ამხანაგების) მეთოდები შეიძლება კარგი და აუცილებელია რუსეთისათვის, მაგრამ არ გამოადგება დასავლეთის ქვეყნებს. მოსკოვის პირობები ნაკარხახევია სპეციალ რუსული ლოლიკით. მათი მიღება ადვილია, მაგრამ ძნელია შესრულება.

საბჭოთა რუსეთი.

ლენინის სიტყვა.

„პეტრ. იზვესტ." 1 ოქ. ნომერში მოთავსებულია ლენინის სიტყვა კომუნისტური პარტიის თათბირზე.

ლენინმა მიუთითა, რომ პოლონეთთან ომმა სრულიად შესცვალა საერთაშორისო მდგომარეობა და სთქვა: ჩვენი უკან დახევა არ არის დამარცხება. პირველ ყოვლისა ჩვენ ხელთ ვიგდეთ ნაწილი ტერიტორიასა, რომელიც პოლონელებს ეკავათ შეტევამდე, და მოვახდინეთ დიდი ზეგავლენა დასავლეთ ევროპაზე. ნათელი გახდა, რომ პოლონეთი უკანასკნელი ბარიერია ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომელიც ანტანტის ხელში იმყოფება და როცა წითელმა არმიამეს ბარიერი საერთხის ქვეშ დააყენა, რუსეთმა საერთაშორისო პოლიტიკაში დაიკა პირველ ხარისხოვანი ფაქტორის ადგილი. გამოირკვა აგრეთვე, რომ ვარშავა [illegible] ერი ფუძე, რომელზედაც ვერსალის ხელშეკრულება ეყრდნობა. როდესაც შეირყა ვარშავა, შეირყა ვერსალის ხელშეკრულებაც. უფრო ადრე, როცა განაპირა სახელმწიფოები თავისუფლდებოდენ ანტანტის ზეგავლენიდან და ჩვენთან ზავსკრავდენ გამოირკვა, რომ ინი მარტო გუშინდელი ჩვენი მტრები არ არიან გამოირკვა მეორეც, რომ ბურჟუაზია იმ ქვეყნების, რომელიც ანტანტის ძალადობის ქვეშ ცხოვრებენ ჩვენს მხარეზე დგას უფრო, ასეთი კი შეადგენს მთელი კაცობრიობის 70%. ჩვენი ვარშავასთან მიახლოებისთანავე ადუღდა მთელი გერმანია იქ გამოჩნდა არაბუნებრივი ბლოკი —შავრაზმელების ბოლშევიკებთან, ჩვენი გამარჯვება იმაშიც არის, რომ ჩვენ გავლენა მოვახდინეთ ევროპაში რევოლიუციონურ მოძრაობაზე. ჩვენ მივაღწიეთ ინგლისელ მუშებთანაც. და ახლა, როცა ინგლისის მთავრობა მოინდომებს ულტიმატუმი გაუგზავნოს ჩიჩერინს, ამისთვის მან პირველ ყოვლისა ინგლისელ მუშებს უნდა დაეკითხოს. ინგლისის პრესა გაყვირის ორმთავრობიანობაზე, ის მართალია. ინგლისი ისეთივე მდგომარეობაშია, რომელშიც რუსეთი იყო რევოლიუციის შემდეგ უნდა ითქვას, რომ „მოქმედების საბჭო" მენშევიკებიდან შესდგება და ისინი ჩვენ გვეხმარებიან მაინც. ყველაფეფერი დამთავრდება იმით, რომ ინგლისის მთავრობას სათავეში მენშევიკები ჩაუდგება.

დღეს ჩვენ მძიმე მდგომარეობაში ვართ; თუ ჩვენ პოლონელებს ზავის წინადადებას ვაძლევთ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ჩვენ სუსტნი ვართ, ჩვენ გვინდა ზავი ისე როგორც წინეთ გვინდოდა. თუ იმპერიალისტური დიპლომატია გაიგებს მას როგორც ჩვენ სისუსტე ის შეცდება. ჩვენს წინაშე არის ბლოკი პოლონეთის, საფრანგეთის და ვრანგელის, რომლის იმედია აქვს საფრანგეთს, მაგრამ პოლონეთის ბურჟუაზიას აფრთხობს შავრაზმელი ვრანგელი. პოლონეთის ხალხს და პოლონეთის სოციალისტებს ზავი სურთ. პოლონეთში ყველა გრძნობს, რომ მას მოუწევს საფრანგეთის ყველა ანგარიშების გადახდა. ჯერ კიდევ პოლონელების შეტევამდი, მათ მძიმე ეკონომიური კრიზისი ქონდათ ეს ჩვენ ვიცით. ეს გვინდა ჩვენ გამოვიყენოთ და ამიტომ ზავის წინადადებას ვაძლევთ პოლონელებს".

მუშები ბოლშევიკების წინააღმ.

გაზ. „ჰოსლ. ნოვ" ცნობილი, „რუსული ამხ." და ვინდავ ს რკინის გზის სტამბებში მუშებმა უარი განაცხადეს რაიმე ნაკაზის მიცემაზე მბეჭდავთა კონფერენციაზე გაგზავნულ დელეგატებისათვის. მუშები ამბობდენ, რომ ნაკაზის მიცემით შებოჭავენ თავის დელეგატებს და იძულებულ იქნებიან კომუნისტების ს